

სოციალური უსაფრთხოების სექტორი ირანში: რელიგიის როლი
ირანულ პოლიტიკურ იდენტობაში

რუსუდან ლომსაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი - დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

რუსუდან ლომსაძე

22.06.2018

აბსტრაქტი

საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენენ ქვეყნები, სადაც რელიგია და სახელმწიფო დიფერენცირებულნი არ არიან. ერთ-ერთ ასეთ სუბიექტს წარმოადგენს, ირანის ისლამური რესპუბლიკა, სადაც რელიგიურ იდენტობას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ირანის ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ელიტა. ჩემი ამ თემით დაინტერესება, გამოიწვია იმ საკითხმა, რომ რელიგია ირანში აყვანილია პოლიტიკური იდეოლოგიის დონეზე. პოლიტიკური ისლამი ქმნის, ისლამურ საზოგადოებაში, რელიგიურ და კულტურულ იდენტობას. სასულიერო პირები, გავლენას ახდენენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და ცდილობენ რელიგიური პრინციპებით მართონ საზოგადოება, რომელთათვისაც რელიგია, სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს. დასავლური ღირებულებები კი აღიქმება, როგორც ეროვნული უსაფრთხოებისადმი საფრთხედ, რაც იწვევს ადამიანის უფლებების დარღვევას და იმ ფასეულობების უგულებელყოფას, რასაც ლიბერალური ღირებულებები ქვია.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ეროვნული უსაფრთხოების საკითხი, კერძოდ რა მნიშვნელობა აქვს რელიგიურ იდენტობას, ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის და მასზე გარე ძალების ზემოქმედების შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა ცვლილებების განხორციელება, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თემა განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების კონტრუქტივიზმის თეორიის ჭრილში, შეძლებს თუ არა ირანული პოლიტიკური ელიტა და მოსახლეობა წლების განმავლობაში გათავისებული იდენტობის ჩანაცვლებას, ლიბერალური ღირებულებებით. კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კონკრეტულად კი პროცესზე დაკვირვებისა და კონტენტანალიზის მეთოდი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ირანის პოლიტიკურ ელიტას და მოსახლეობას ამ ეტაპზე არ შესწევთ ძალა წინააღმდეგობა გაუწიონ სასულიერო

პირების ძალაუფლებას. ცვლილებების სურვილი ირანელ მოსახლეობაში, ნამდვილად არის, ეს აჩვენა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა, სადაც რუჰანის ძირითადი წინასაარჩევნო კამპანია, დამყარებული იყო ადამიანის უფლებების გაზრდაზე და დემოკრატიული ფასეულობების დამყარებაზე. არჩევნებში მან ამომრჩევლისაგან, საკმაოდ მაღალი შედეგი მიიღო, თუმცა პრეზიდენტობის პერიოდში ის ვერ ასრულებს წინასაარჩევნო დანაპირებს, ვინაიდან წინააღმდეგობას ვერ უწევს რელიგიურ ლიდერებს.

საძიებო სიტყვები: ირანი, რელიგია, იდენტობა, ეროვნული უსაფრთხოება, დემოკრატია, პოლიტიკური ელიტა.

Abstract

There is a significant problem in the international system, where religions and the state aren't differentiated. One such state is the Islamic state of Iran, where religious identity is of great importance as the local population is also the political elite in the Iranian government. My interest in this topic has led, to the question of religion in Iran of the level of political ideology. Political Islam evates religious and cultural identity in Islamic society. The clergies in fluence on the political decisions and try tu rule the society with the religious principles for which religion is a sensitive issue. Western values are perceived as a threal to national security, that leads to violations of human rights and neglect of values, that are calledliberal values.

In the present work, the issue of national security is discussed, namely the importance of religious identity the Islamic state of Iran, and the impact of externat forces in the social and political life. The topic is discussed in the context of the constructivism theory of international relations, whether the Iranian political elite and the population have been able to place the identity of the years with the liberal values. In the research process, the methodology of qualitative research has been used specifically in the process of observation and method of contents.

The research revealed that the Iranian political elite and the population at this stage, are unable to resist the authority of the clergy. The Iranian people really have desire of several changes. It is shown last president election where Rouhan`s main pre-election campaign was based on increasing human rights and democratic values. In the presidency he can not fulfill the preelection promise, because he cann`t resist religious leaders.

Search keywords: Iran, Religion, Identity, Nacional security, Democracy, Political elite.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც ამ ორი წლის განმავლობაში, გამიზიარეს ცონდა და გამოცდილება.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ დავით დარჩიაშვილს, რომელიც მთელი სემესტრის განმავლობაში მეხმარებოდა, კომპეტენტური რჩევებით და მაჩვენებდა გზას, რათა ჩემი ნაშრომი განმეხორციელებინა სწორი მიმართულებით. მადლობას ვუხდით ბატონ დავითს, საკითხის დაინტერესებისათვის, მისი სალექციო კურსის, თანამედროვე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და სისტემა: კულტურულ-ინსტიტუციონალური ჩარჩო-ს ფარგლებში, შევძელი ჩამოყალიბება, საკვლევ საკითხად შემერჩია, ირანის ეროვნული უსაფრთხოება.

მადლობა მას გაწეული შრომისათვის და ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხისათვის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.